№573 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოწონებულ იქნეს განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**